ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. მაისი 15. № 6 ტფილისი

შინაარსი

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

66. პროკურატურის ორგანოების დამხმარე უჯრედების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება პროკურატურის ორგანოების დამხმარე უჯრედების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

66. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

პროკურატურის ორგანოების დამხმარე უჯრედების დებულების დამტკიცების შესახებ.

მუშათა და კოლმეურნეთა აქტივის რაც შეიძლება ფართოდ ჩასაბმელად პროკურატურის ორგანოებისათვის ხელისშეწყობის მუშაობაში რევოლუციონური კანონიერების განხორციელებისა და დამხმარე უჯრედების მასური მუშაობის გაშლის ხაზით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება პროკურატურის ორგანოების დამხმარე უჯრედების შესახებ.

2. 1930 წლის აგვისტოს 22-ს დამტკიცებული დებულება პროკურატურის ორგანოების ხელისშემწყობი უჯრედების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 254) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. **თ. ყლენტი.**

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **მ. ვარამაშვილი.**

1934 წ. თებერვლის 1.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პროკურატურის ორგანოების დამხმარე უჯრედების შესახებ.

1. მშრომელთა მასების უშუალო ჩასაბმელად რევოლუციონური კანონიერებისა, სოციალისტური საკუთრების დაცვისა და პარტიის და მთავრობის დირექტივების თავის დროზე და სისწორით შესრულებისათვის წარმოებულ ბრძოლაში, აგრეთვე ყოველდღიური კავშირის განსამტკიცებლად პროკურატურის ორგანოებსა და მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასებს შორის, სამრეწველო საწარმოში, ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურში და სხვ. ეწყობა პროკურატურის დამხმარე უჯრედები.

I. დამხმარე უჯრედების ამოცანები სამრეწველო საწარმოებში და ტრანსპორტზე.

2. დამხმარე უჯრედების ძირითად ამოცანას სამრეწველო საწარმოსა და ტრანსპორტზე შეადგენს ბრძოლა სამრეწველო-სატრანსპორტო-საფინანსო გეგმების შესრულებისათვის; ამ ამოცანას იგინი განახორციელებენ უწინარეს ყოვლისა პროკურატურისათვის თავის დროზე სიგნალის მიცემით კლასობრივი მტრის ყოველგვარი გამოსვლებისა, რევოლუციონური კანონიერების დარღვევის ყველა შემთხვევისა და პარტიის და მთავრობის დირექტივების დამახინჯების შესახებ.

3. დამხმარე უჯრედებმა თავისი ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ ბრძოლა პროდუქციის თვისებისათვის, საიმპორტო და ახალი გაწყობილობის სათანადოდ გამოყენებისათვის, დაზგების და ინსტრუმენტების გაფრთხილებით ხმარებისათვის, შრომის დაცვის და უშიშროების ტექნიკის წესების შესრულებისათვის, აგრეთვე მუშათა მომარაგებისა და საზოგადოებრივი კვების საქმის უკეთესად მოგვარებისათვის. ამასთან ერთად დამხმარე უჯრედის მოვალეობაა გამოიჩინოს ინიციატივა მუშათა წინადადებების და გამომგონებლობის საქმის გაჭიანურების და მიჩქმალვისა, თვითკრიტიკის ჩახშობისა, საქმის დანაშაულებრივი გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დამხმარე უჯრედმა აქტიური დახმარება უნდა გაუწიოს საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს შრომის დისციპლინისა და ახალი ყოფა-ცხოვრების განმტკიცების საქმეში.

დამხმარე უჯრედების უაღრესი მნიშვნელობის ამოცანას შეადგენს ბრძოლა საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების დასაცავად და იუსტიციის ორგანოებისათვის დახმარების გაწევა 1932 წლ. აგვისტოს 7-ის კანონის გატარებაში.

დამხმარე უჯრედებმა მთელი თავიანთი მუშაობა უნდა ააგონ ამხ. სტალინის ექვს მითითებათა საფუძველზე.

II. დამხმარე უჯრედების ამოცანები სოფლად.

4. დამხმარე უჯრედების ძირითად ამოცანას სოფლად შეადგენს ბრძოლა სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისა და კოლმეურნეობე-

ბის საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებისათვის, რა ამოცანასაც ისინი ანხორციელებენ პირველ რიგში კლასობრივ მტრული ელემენტების აშკარა და ფარული წინააღმდეგობის, ყოველგვარი დანაშაულის და რევოლუციონური კანონიერების დარღვევის გამოაშკარავებით და ამაზე პროკურატურისათვის თავის დროზე სიგნალის მიცემით.

5. დამხმარე უჯრედების ყურადღების ცენტრში დაყენებული უნდა იქნეს პარტიის და ხელისუფლების იმ დირექტივების განხორციელება, რაც ეხება სოციალისტური საკუთრების დაცვას, საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლა-განვითარებას, სპეკულაციასთან ბრძოლას, მეცხოველეობის განვითარებას, ცხენებისა და მუშა-საქონლისადმი გაფრთხილებით მოპყრობას, სასოფლო-სამეურნეო მუშაობის წარმატებით ჩატარებას და მოსავლიანობის გადიდებისათვის მისაღებ ღონისძიებათა განხორციელებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების წარმატებით ჩატარებას და სხვ.

III. დამხმარე უჯრედების არჩევა და დამტკიცება.

6. დამხმარე უჯრედი ირჩევა მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საერთო კრებაზე, რიცხვით 3-დან 7 კაცამდე, ერთი წლით; უჯრედს ამტკიცებს სარაიონო პროკურორი.

7. დამხმარე უჯრედში შეიძლება არჩეულ იქნეს ყველა მშრომელი, რომელსაც 18 წელი უკვე შეჰსრულებია, უკეთუ იგი საარჩევნო უფლება-ჩამორთმეული არ არის, არ ყოფილა წინად მსჯავრდადებული, სახელშებღალული არ არის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მუშაობის დროს და თანაც დამკვრელია თავის წარმოებაში.

8. დამხმარე უჯრედის შემადგენლობიდან ამა თუ იმ პირის გადგინება მოხდება ამომრჩეველთა დადგენილებით ან დამხმარე უჯრედისა, პარტიული ან პროფესიონალური ორგანიზაციის დადგენილებით, ან და სათანადო სარაიონო პროკურორის წინადადებით.

IV. დამხმარე უჯრედების მუშაობის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა.

9. დამხმარე უჯრედისათვის ხელმძღვანელობის გაწევა და მისი მუშაობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სათანადო სარაიონო პროკურორს.

სარაიონო პროკურორი მოვალეა გაუწიოს დამხმარე უჯრედებს რეგულარული ინსტრუქტაჟი, მოაწყოს მათთან საუბრები, მოიწვიოს ჯგუფობრივი და საერთო სარაიონო თათბირები, უგზავნოს მათ საინსტრუქციო წერილები და მიაწოდოს საჭირო საკანონმდებლო მასალა.

10. თვითეული დამხმარე უჯრედი ირჩევს თავის შედგენილობიდან უჯრედის ხელმძღვანელს.

უჯრედის ხელმძღვანელს ეკისრება უჯრედის მუშაობის განაწილება და აღრიცხვა, სარაიონო პროკურორთან მუდმივი კავშირის დაჭერა და მისთვის უჯრედის მუშაობის ანგარიშის წარდგენა.

უჯრედის ცალკეული წევრები მოვალენი არიან ყველა მათ მიერ გამოვლენილი ღონისძიება აცნობონ უჯრედის ხელმძღვანელს, რომელსაც უფლება აქვს გააუქმოს უჯრედის წევრის ესა თუ ის მოქმედება.

V. ანგარიშგება და კონტროლი.

11. დამხმარე უჯრედები თავიანთი მუშაობის ანგარიშს უდგენენ ამომრჩევლებს და საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივ კომიტეტებს ყოველ ნახევარწელიწადში ერთჯერ, ხოლო რაიპროკურორს ყოველ სამ თვეში ერთჯერ.

12. საჩივარი დამხმარე უჯრედის წევრის მოქმედებაზე შეიტანება სარაიონო პროკურორთან, რომელსაც უფლება აქვს გააუქმოს უჯრედის წევრის ყოველი მოქმედება, უჯრედისათვის გაუქმების მოტივის შეტყობინებით.

13. სარაიონო პროკურორი მოვალეა მისცეს დამხმარე უჯრედის ყოველ წევრს დაწესებული სახის მოწმობა.

VI. პროკურატურის დამხმარე უჯრედების წევრთა უფლება-მოვალეობანი.

14. დამხმარე უჯრედის წევრები მოვალენი არიან აქტიური დახმარება გაუწიონ იუსტიციის ორგანოებს დანაშაულობასა და რევოლუციონური კანონიერების დარღვევა-დამახინჯებასთან ბრძოლაში, გამოიჩინონ ინიციატივა დანაშაულის გამოაშკარავების საქმეში და მიიღონ წინასწარი გამაფრთხილებელი ღონისძიება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს ან დაწესებულების მუშაობაში აღმოჩენილ ნაკლს შეუძლია შეჰქმნას დანაშაულის ჩადენისათვის ხელისშემწყობი ნიადაგი.

დამხმარე უჯრედი რევოლუციონური კანონიერების დამახინჯების ყოველ ფაქტს და გამოაშკარავებულ ყოველ დანაშაულს აცნობებს დაუყოვნებლივ სარაიონო პროკურორს. ამასთან ერთად დამხმარე უჯრედის წევრებმა უნდა ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ სათანადო ორგანიზაციებმა გამოასწორონ შემჩნეული ნაკლი და თავიდან აიცილონ რევოლუციონური კანონიერების დარღვევა-დამახინჯება.

15. დამხმარე უჯრედის წევრებს უფლება აქვთ: ა) დააყენონ კანონიერების დამრღვევის წინაშე საკითხი კანონის დარღვევის თავიდან აცილების შესახებ; ბ) გააფრთხილონ (სიტყვიერად თუ წერილობით) პასუხისმგებლობის განმარტებით ის პირი, რომელიც ცდილობს კანონის დარღვევას, ან იჩენს უმოქმედობას, ან და არ სურს გამოასწოროს კანონის დარღვევა იმის შემდეგაც კი როდესაც მას ამ დარღვევაზე მიეთითა; გ) შეიტანონ, რაიპროკურორის მეშვეობით, პროტესტი უკანონო დადგენილებასა ან განკარგულებაზე, მისი გაუქმების მიზნით, დ) აღძრან საკითხი სადისციპლინო ან საადმინისტრაციო პასუხისმგებლობის შესახებ; ე) გადასცენ საქმეები საამხანაგო ან სასოფლო-საზოგადოებრივ სასამართლოს; ვ) შეაგროვონ მასალა და თავისი დასკვნით გადასცენ პროკურორს ამა თუ იმ პირის პასუხისგებაში მისაცემად; ზ) გამოვიდენ, რაიპროკურორის დავალებით, სახალხო სასამართლოში საზოგადოებრივ ბრალმდებ-

ლებად, თ) პროკურორის სპეციალური დავალებით მოახდინონ გამოკვლევა ... ხლის სამართლის წესით ან შეასრულონ ცალკეული საგამომძიებლო მოქმედება. დამხმარე უჯრედის მიერ გამოკვლეული სისხლის სამართლის საქმე უჯრედის დასკვნის თანდართვით გაეგზავნება სარაიონო პროკურორს.

16. დამხმარე უჯრედის წევრებმა კარგად უნდა იცოდენ თავიანთი წარმოების მთელი ვითარება, თავის დროზე უნდა გაიგონ ყოველგვარი უწესრიგობა, უთავბოლობა, გარღვევა, ნაკლოვანებები, პარტიის და მთავრობის დირექტივების დამახინჯება, რისთვისაც უჯრედის წევრებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ თავისი საწარმოს, კოლმეურნეობის და სხვ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყურადღებით და ფხიზლად მოეკიდნენ მათ მიერ მიღებულ საჩივრებს და, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ყოველთვის სარაიონო პროკურორის სპეციალური ნებართვით, მოახდინონ მიზნობრივი გამოკვლევა.

17. დამხმარე უჯრედი სისტემატურად უნდა ეცნობოდეს გაზეთებს და დაუგვიანებლად იღებდეს ღონისძიებას ყველა ისეთი საგაზეთო წერილის გამოკვლევისა და ამ გამოკვლევის შედეგების რეალიზაციისათვის, რაც კი მის საწარმოს მუშაობას შეეხება.

18. დამხმარე უჯრედი მოვალეა განსაკუთრებული ინიციატივა გამოიჩინოს რევოლუციონურ კანონიერების დარღვევის გამოაშკარავებისათვის ისეთ შემთხვევაში, როდესაც იგი ეხება მუშებს, კოლმეურნეებს, წითელარმიელებს, სპეციალისტებს და სხვა მშრომელებს.

დამხმარე უჯრედი მოვალეა განიხილოს მის მიერ მიღებული საჩივარი არსებითად არა უგვიანეს ორი დღისა და იხმაროს სათანადო ღონისძიება ამა დებულების მე-15 მუხლით გათვალისწინებული უფლებების ფარგლებში. ხოლო, უკეთუ საჩივრის გადაწყვეტისათვის საჭირო იქნება პროკურორის ჩარევა, დამხმარე უჯრედი, მიიღებს რა თავისი უფლების ფარგლებში ყველა საჭირო ღონისძიებას, შეაგროვებს სათანადო მასალას და აღნიშნულ საჩივარს ამ მასალასთან ერთად თავისი დასკვნით გაუგზავნის სარაიონო პროკურორს განკარგულებისათვის.

19. დამხმარე უჯრედი მთლიანად და ყოველი მისი წევრი ცალკე მოვალეა თვალყური ადევნოს გამოქვეყნებულ კანონებს და თავისი ამოცანები, ამ კანონების გატარებასთან დაკავშირებით, დაამუშაოს უჯრედის კრებებზე.

დამხმარე უჯრედმა უნდა აწარმოოს მუშაობა პარტიის და მთავრობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დადგენილებების საპოპულარიზაციოდ და კანონების განსამარტებლად ცალკეული მუშებისა და კოლმეურნეებისათვის, რისთვისაც საჭიროა საწარმოში და დაწესებულებაში რევოლუციონური კანონიერების კუთხეების მოწყობა, მოხსენებების და საუბრების გამართვა, თვალსაჩინო ადგილას უაღრესი მნიშვნელობის მქონე კანონების გამოფენა, იურიდიული რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.

20. დამხმარე უჯრედმა თავის მუშაობაში მჭიდრო კავშირი უნდა იქონიოს საამხანაგო და სასოფლო-საზოგადოებრივ სასამართლოსთან, განიხილოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასთან ერთად თავისი მუშაობის ამოცანები და განსაზღვროს ის ძირითადი საკითხები, რომლებზედაც მიქცეულ უნდა იქნეს ამ სამეურნეო დარგის იუსტიციის აქტივის უმთავრესი ყურადღება.

21. დამხმარე უჯრედის წევრები დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის პასუხს აგებენ როგორც თანამდებობის პირნი.

22. დამხმარე უჯრედის წევრთათვის წინააღმდეგობის გაწევის ან მათი დევნის ყოველი შემთხვევა უნდა დაუყოვნებლივ ეცნობოს სარაიონო პროკურორს, ხოლო, თუ საჭირო იქნება, რესპუბლიკის პროკურორსაც.

23. სარაიონო პროკურორი და რესპუბლიკის პროკურორი მოვალენი არიან დაუყოვნებლივ იხმარონ ღონისძიება დამხმარე უჯრედის წევრის დასაცავად და, საჭიროებისდამიხედვით, მისცენ დამნაშავენი პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის 72,74 ან 58[8] მუხლის თანახმად.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 11. პ/მ **რედაქტორი ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 3/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 16/III. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/V. ტირაჟი 2.000.

მთავლიტი ს.—№ 17. საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 473.